

ბანკის ვებგვერდზე <https://www.tcbank.ge/web/ka/web/guest/card-payments> განთავსებული “ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების” 1.4. პუნქტის შესაბამისად, სს “თიბისი ბანკი” გთავაზობთ “ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითად პირობებში” (შემდგომში “ხელშეკრულების ძირითადი პირობები”) და “ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში” (შემდგომში “სტანდარტული პირობები”) შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. შეიცვალოს ხელშეკრულების ძირითადი პირობების 1.1. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.1. კომპანია (მეწარმე / გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი და/ან იურიდიული პირი / ორგანიზაციული წარმონაქმნი) უზრუნველყოფს VISA და MasterCard საერთაშორისო ბარათების და თიბისი ელ-კომერციის და/ან TPAY QR და/ან GEOPAY არხის გამოყენებას, როგორც საგადამხდელო საშუალებას, გაწეული მომსახურების საფასურის / გაყიდული საქონლის ღირებულების მიღების მიზნით.

2. შეიცვალოს დანართი #1 საწყისი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- აღნიშნული დანართით განსაზღვრული წესების/პირობების დაცვა სავალდებულოა იმ კომპანი(ებ)ისთვის, რომელიც საგადამხდელო საშუალებად იყენებს ელექტრონულ კომერციას ან თიბისი ელ-კომერციის არხს.

3. შეიცვალოს დანართი #3 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი #3

აღნიშნული დანართი არეგულირებს ელექტრონული კომერციის დისტანციური თიბისი ელ-კომერციის არხით გადახდებს. **თიბისი ელ-კომერციის გადახდების სერვისის პირობები დისტანციური არხით მომსახურების / პროდუქტის მიმწოდებელი პირისთვის (კომპანიისთვის):**

1. თიბისი ელ-კომერციის პორტალზე ადმინისტრატორის უფლებები და დაშვების პარამეტრები მიენიჭება კომპანიის დირექტორს და გაუაქტიურდება წვდომა ინტერნეტ-ბანკის მომხმარებელით;
2. ვებგვერდის თიბისი ელ-კომერციის სისტემასთან ინტეგრაციის პარამეტრები გამოუჩნდება კომპანიის ადმინისტრატორს და კომპანიის ადმინისტრატორის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ მომხმარებლებს;
3. კომპანიის ადმინისტრატორი მართავს თიბისი ელ-კომერციის პორტალში კომპანიის მართვის პანელში დაშვების უფლებების დონეებს.